

Rechtsbeugung

Hierunter versteht man im **deutschen Recht** eine Straftat im Amt, die sich dadurch auszeichnet, dass ein Richter, ein anderer Amtsträger oder ein Schiedsrichter sich bei der Leitung oder Entscheidung einer Rechtssache zugunsten oder zum Nachteil einer Partei einer Beugung des Rechts schuldig macht (§ 339 dStGB). Über den Gesetzeswortlaut hinaus verlangt die deutsche Rechtsprechung, dass der Täter sich dabei bewusst in schwerwiegender Weise von Recht und Gesetz entfernt. Damit ist gemeint, dass der Tatbestand nicht schon durch jede vorsätzlich begangene Rechtsverletzung verwirklicht wird. Der subjektive Tatbestand erfordert Vorsatz. Der Täter muss also die Unvertretbarkeit seiner Rechtsansicht zumindest für möglich gehalten und billigend in Kauf genommen haben. Im Unterschied zum deutschen Recht ist im **georgischen Recht** die Rechtsbeugung als eigenständiges Delikt nicht vorgesehen. Allerdings werden die verschiedenen Variationen der Rechtsbeugung im gStGB teilweise als Straftaten gegen die Freiheiten und Rechte der Menschen oder als sonstige Amtsdelikte geregelt. Kennzeichnend für alle Variationen der Rechtsbeugung im georgischen Recht ist, dass der Täter seine gesetzlich festgelegten Amtsbefugnisse missbraucht bzw. eine Rechtssache für oder gegen eine Partei gesetzwidrig entscheidet (siehe dazu Art. 146 gStGB, wonach eine unschuldige Person vorsätzlich strafrechtlichen zur Verantwortung gezogen werden muss; Art. 147 gStGB, der die vorsätzliche gesetzwidrige Festnahme oder Inhaftierung unter Strafe stellt; Art. 332 gStGB, der den Missbrauch der Amtsbefugnisse regelt; Art. 333 gStGB, der die Überschreitung der Amtsbefugnisse unter Strafe stellt und Art. 334 gStGB, der die gesetzwidrige Befreiung eines Angeklagten von strafrechtlicher Verantwortung zum Gegenstand hat). Subjektiv muss der Täter auch hier in allen Fällen vorsätzlich handeln. (Bhe/Mtu/Gkh)

მართლმსაჯულების გამრუდება

გერმანული სამართლის მიხედვით სამოხელეო დანაშაულის ერთ-ერთი სახე, რომელიც ხასიათდება იმით, რომ მოსამართლე, სხვა თანამდებობის პირი ან არბიტრი, სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტის დროს ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ/საზიანოდ შეგნებულად გვერდს უვლის კანონმდებლობის მოთხოვნებს (გსსკ-ის 339-ე პარაგრაფი). გარდა საკანონმდებლო ფორმულირებისა, სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ დამნაშავე შეგნებულად და სერიოზულად არ ითვალისწინებდეს საკანონმდებლო მოთხოვნებს. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა მოითხოვს განზრახვას. ამსრულებელს სულ მცირე შეგნებული უნდა ჰქონდეს მისი სამართლებრივი შეხედულების მიუღებლობა. გერმანული სამართლისგან განსხვავებით, **ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა**, მართლმსაჯულების გამრუდებას, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას, არ იცნობს. თუმცა, სსსკ-ით მართლმსაჯულების გამრუდების სხვადასხვა ვარიაციები ნაწილობრივ

Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

რეგულირდება როგორც დანაშაული ადამიანების უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, ან როგორც სამოხელეო დანაშაულის ცალკეული სახე. ქართულ სამართალში მართლმსაჯულების გამრუდების თითოეული ვარიაციისთვის დამახასიათებელია ის, რომ ამსრულებელი ბოროტად იყენებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას, მათ შორის სამართლებრივ საკითხს რომელიმე პირის სასარგებლოდ/საზიანოდ წყვეტს კანონის მოთხოვნათა დარღვევით. (იხ. სსსკ-ის 146-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც დანაშაულია უდანაშაულო პირი განზრახ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა; სსსკ-ის 147-ე მუხლი, რომელიც დანაშაულად აცხადებს განზრახ უკანონო დაკავებას ან დაპატიმრებას; სსსკ-ის 332-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას; სსსკ-ის 333-ე მუხლი, რომელიც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას დასჯადი დანაშაულად აქცევს და სსსკ-ის 334-ე მუხლი, რომელიც ეხება ბრალდებულის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან უკანონოდ გათავისუფლებას). ამსრულებელი, ყველა შემთხვევაში სუბიექტურად მოქმედებს განზრახ. (Bhe/Mtu/Gkh)